საქართველოს ადგილობრივ
თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის
ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

მარტი, 2024

ათეა გილოცავთ ამ ისტორიულ გამარჯვებას !!!
საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე
თამაშის უფლება ღირსეულად მოიპოვა.

UEFA
EURO2024
GERMANY
საქართველო
ევროპაზეა!
გილოცავთ ისტორიულ გამარჯვებას!
არიის!!!
გილოცავთ!

🔴 *მნიშვნელოვანი ინფორმაცია!!!!*

👉 *სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრში გამოცხადდა რეგისტრაცია სახელმწიფო საგრანტო პროგრამებზე 2024-2025*

პროგრამა

,,უცხოეთში განათლების მიღების ხელშეწყობა რეგიონების განვითარებისთვის 2024-2025“.

მიზანი:

კვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ მომზადება და რეგიონების განვითარების მიზნით საქართველოს მუნიციპალიტეტებში ინტეგრირება.

ვრცლად...

პროგრამა

"საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2024-2025".

მიზანი:

საჯარო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებული პირების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების ხეშეწყობა.

ვრცლად...

👇 ორივე საგრანტო პროგრამაზე განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 30 აპრილი.

ათეა-ს სიახლეები

მარტის თვეში, ათეამ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიებისა და საკრებულოების თანამშრომლებისთვის 4 საკონსულტაციო შეხვედრა გამართა, რომლებსაც სხვადასხვა დარგის ექსპერტები წარმართავდნენ. თემატიკა შერჩეული იყო მუნიციპალიტეტების საჭიროებებზე მორგებული მოთხოვნის საფუძველზე და მოიცავდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების მართვის სამართლებრივი ასპექტების, ასევე მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვისა და ბავშვთა უფლებათა დაცვის საკითხებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების და საჭიროებების გათვალისწინება მუნიციპალურ პროგრამებში
მაგული შალაშვილი
შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი: თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი
05.04.2024
11:00

სამშენებლო ზედამხედველობა
ნინო იოსელიანი
სამართლის დოქტორი, მშენებლობის ზედამხედველობისა და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების ექსპერტი
10.04.2024
14:00
WWW.NALA.GE

საზოგადოებასთან და მედიასთან კომუნიკაციის მეთოდები
სოფიო ოხანაშვილი
ჟურნალისტი:
17.04.2024
14:00
WWW.NALA.GE

საერთაშორისო პროექტების წერა
დავით მელუა
პროექტის „პარტნიორობა საჯარო ადმინისტრირების რეფორმისთვის" დირექტორი
24.04.2024
14:00
WWW.NALA.GE

ალსანიშნავია, რომ ათეა მუნიციპალიტეტებისთვის საკონსულტაციო სერვისის მიწოდებას აპრილის თვეშიც განაგრძობს. ცნობისთვის, კონსულტაციაზე დასასწრებად საჭირო იქნება მარტივი რეგისტრაციის გავლა. შეხვედრის შესახებ წერილობით ეცნობება მუნიციპალიტეტებს. ინფორმაცია ასევე ერთი კვირით ადრე გამოქვეყნდება ათეა-ს სოციალურ გვერდებზე.

ნუ გამოტოვებთ სიახლეებს, გამოგვიწერეთ და გამოგვყევით 👇

ათეა-ს სიახლეები

14 მარტს, ასოციაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, მუნიციპალიტეტებისთვის სატრენინგო კურსი - ,,ევროკავშირის ფულადი სახსრების ათვისება - სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მაგალითი“ გაიმართა. ორდღიანი ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსებისა და საერთაშორისო პროექტების მართვის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით მოეწყო.

იხილეთ ვრცლად

სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებთან ერთად, მუნიციპალიტეტებს გრანტების მოძიებაში დაეხმარება ათეა-ს გუნდის ახალი წევრი, მარიამ ჯინჭარაძე, რომელმაც ასოციაციაში საერთაშორისო პროექტების განვითარების მენეჯერის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. მარიამი ყოველდღიურად მართავს შეხვედრებს ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

იხილეთ მარიამის რეზიუმე

საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები ათეა-ს წევრი მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების პირველ პირებსა და მერიისა და საკრებულოების თანამშრომლებს აქტიურად სთავაზობენ სხვადასხვა სახის ლექცია-სემინარებს.

CEMR-ის, PLATFORMA-ისა და UCLG-ის ორგანიზებით, 12-13 მარტს გაიმართა ონლაინ ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, ასევე კლიმატის სტრატეგიების შემუშავებაში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებას.

👉 ვინც გამოტოვეთ აღნიშნული სემინარი, ჯერ კიდევ გაქვთ დრო გაიაროთ რეგისტრაციები სხვა არანაკლებ საინტერესო შემოთავაზებებზე 👇

ათეა-ს სიახლეები

მათ, ვინც მუშაობთ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის, კატასტროფების რისკის შემცირების, მდგრადი განვითარების, ადამიანის უფლებების ან გენდერული თანასწორობის მიმართულებით, ლუნდის უნივერსიტეტი გიწვევთ ინოვაციურ სასერტიფიკატო კურსზე –„უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის ადაპტაცია სომხეთსა და საქართველოში“.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 21 აპრილი.

იხილეთ ვრცლად

European Committee of the Regions
young elected politicians

თუ ხართ ადგილობრივი თვითმმართველობების არჩეული თანამდებობის პირი და დაბადებული ხართ 1989 წლის 1 იანვრის შემდეგ, ევროპის რეგიონთა კომიტეტი (CoR) ახალგაზრდა არჩეულ პოლიტიკოსთა (YEP) ქსელში გაწევრიანებას გთავაზობთ.

გაიარეთ რეგისტრაცია მიმდინარე წლის 19 აპრილამდე!

იხილეთ ვრცლად

ათეა-ს სიახლეები

ათეა-ს აღმასრულებელმა საბჭომ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპული პლატფორმის (PLATFORMA), აგრეთვე, ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR) ახალგაზრდა არჩეულ პოლიტიკოსთა კომიტეტში განახლებული დელეგატები დაამტკიცა.

ამავე სხდომაზე, ასევე მოხდა საჯარო სამსახურის ბიუროს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული სათათბირო ორგანოს - საჯარო სამსახურის საბჭოს წევრების არჩევა.

იხილეთ ვრცლად


Zoom Meeting
Recording...
Batumi City Hall
mamuka
Mamuka Tsotseria
levani andriashvili
NALAG

ქართულმა დელეგაციამ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 46-ე პლენარულ სესიაში მიიღო მონაწილეობა.

მნიშვნელოვანი თემების განხილვასთან ერთად, სხდომაზე კენჭი ეყარა დეკლარაციის პროექტს უკრაინელი ბავშვების უფლებების დაცვის შესახებ.

იხილეთ ვრცლად

მარტი 2024

სიახლეები თვითმმართველი ქალაქებიდან

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი ლიდერებს შორისაა


ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტმა
ACI-ის რეიტინგში მცირე ზომის აეროპორტებიდან
საშუალო ზომის აეროპორტებს
შორის გადაინაცვლა
2024 წლის იანვარში მგზავრთნაკადის ზრდით
450 აეროპორტში
ევროპაში მესამე ადგილზეა
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ქუთაისის
AIRPORTS COUNCIL INTERNATIONAL

აეროპორტების საერთაშორისო საბჭოს ACI World იანვრის ანგარიშში ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტმა მცირედან საშუალო სიდიდის აეროპორტების კატეგორიაში გადაინაცვლა და ევროპის 450 აეროპორტს შორის მესამე ადგილი დაიკავა.

იხილეთ ვრცლად

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სიახლეა

მალთაყვაში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ნიჩბოსნობის და კანოეს ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს. ბაზა მოიცავს სპორტსმენების სავარჯიშო, საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ სივრცეებს.

იხილეთ ვრცლად

თბილისის განვითარების ფონდი, მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებს.

იხილეთ ვრცლად

რუსთავის მერიამ კამპანია „თაობა მომავლისთვის“ ფარგლებში, რეგიონული ახალგაზრდული ქსელი შექმნა. პროექტი, რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის კონტაქტების დამყარებას, მუნიციპალიტეტებში დანერგილი სიახლეებისა და მიმდინარე პროექტების გაცნობას ისახავს მიზნად.

იხილეთ ვრცლად

რუსთავის მერია ახალგაზრდებისთვის დასაქმების პროგრამას აცხადებს. პროექტი დასაქმების ერთთვიან პროგრამას მოიცავს და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების დასაქმებას და მათ ჩართვას ქალაქის განვითარებასა თუ მოვლა-პატრონობაში.

იხილეთ ვრცლად

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ
WWW.RUSTAVI.GOV.GE
“ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲝ,
ᲩᲐᲔᲠᲗᲔᲗ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ
ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲓᲘᲗ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ
ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ.
ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ
„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲜᲔ“
ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ!”
- ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲪᲐᲑᲘᲫᲔ

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ
BATUMI CITY HALL

ბათუმის მერია ახორციელებს პროგრამებს წარმატებული სტუდენტებისათვის“.

პროგრამების მიზანია ბათუმში რეგისტრირებული და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ავტორიზებული უნივერსიტეტების სტუდენტთა ხელშეწყობა.

იხილეთ ვრცლად

ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა სრულდება. პროექტის ფარგლებში, 14 კმ-იანი 2 ზოლიანი გზა, 20 სახიდე გადასასვლელი და 5 გვირაბი შენდება.

იხილეთ ვრცლად

ქუთაისის ურბანული ტრანსფორმაციის პორტფელის „ქუთაისი-ეკო-სმარტ ქალაქი“ ფარგლებში, ახალგაზრდული იდეათონი გაიმართა.

იხილეთ ვრცლად

ქუთაისის იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მერიის ორგანიზებით შეიქმნა ონლაინ პლატფორმები.

იხილეთ ვრცლად


ქუთაისი UNESCO-ს ლიტერატურის ქალაქი
რატომ ქუთაისი
სიახლეები
01
28
21

ფოთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ფოთელი სტუდენტები ბულგარეთში სწავლიან.

* იხილეთ ვრცლად*

სიახლეები მუნიციპალიტეტებიდან

სამტრედიას რეგიონში საუკეთესო სპორტული ინფრასტრუქტურით გამორჩეულობისთვის საპატიო სიგელი გადაეცა. 2023 წლის იმერეთის რეგიონის საუკეთესო მუნიციპალიტეტი - ოლიმპიური სპორტის სახეობების განვითარების, სპორტული ინფრასტრიქტურის გაფართოებისა და აღდგენისთვის

დიპლომი

GEORGIA

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია

2023 წლის იმერეთის რეგიონის საუკეთესო მუნიციპალიტეტი

ინფოსა
PARIS 2024

სამტრედია 2023 წლის იმერეთის რეგიონის საუკეთესო მუნიციპალიტეტი გახდა ოლიმპიური სპორტის სახეობების განვითარების, სპორტული ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და აღდგენისთვის.

იხილეთ ვრცლად

დედოფლისწყაროსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მერებმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და იოსებ ხახალეიშვილმა, ბრიუსელში გამართულ მერების შეთანხმების აღმოსავლეთის პროექტის საბჭოს სხდომაში მიიღეს მონაწილეობა.

იხილეთ ვრცლად

TRANSLATING THE EUROPEAN GREEN DEAL INTO LOCAL ACTION
TRANSLATING THE EUROPEAN GREEN DEAL INTO LOCAL ACTION
TRANSLATING THE EUROPEAN GREEN DEAL INTO LOCAL ACTION

აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, გიგა გაბელაიას და მის პირველ მოადგილეს, ირაკლი პერტენავას, აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო სიგელები გადაეცათ.

იხილეთ ვრცლად

ზუგდიდში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გრძელდება.

იხილეთ ვრცლად

დუშეთში ახალგაზრდული ცენტრი გაიხსნა

პროექტი მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, კარიერული კონსულტაციების გზით სოციალური სერვისების დანერგვას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობასა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

იხილეთ ვრცლად

ქედაში აქტიურად მიმდინარეობს ,,ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენის“ პროგრამის ფარგლებში საცხოვრისის სამშენებლო სამუშაოები.

იხილეთ ვრცლად



ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების მუნიციპალური კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. კვლევა ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა და ეტაპობრივად ყველა სოფელს მოიცავს.

იხილეთ ვრცლად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობით ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

იხილეთ ვრცლად

USAID
GEOdp
dp
GE

ონის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

იხილეთ ვრცლად

ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის ლევან წიკლაურის გადაწყვეტილებით, დაფინანსდა შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში ნაკრების წევრი, რომელიც სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის ლევან წიკლაურის მოწვევით, „ჯეო ჰოსპიტალსის“ მრავალპროფილურმა სამედიცინო ცენტრმა დაბა თიანეთში უფასო სამედიცინო აქცია გამართა.

იხილეთ ვრცლად

გორის მუნიციპალიტეტის მერია კონკურსის წესით შერჩეულ ათ სკოლაში ფსიქოლოგების მუშაობას დააფინანსებს.

პროექტი ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს, შეხვედრების ფორმატთან ერთად მოზარდებს მიეცემათ საშუალება ინფორმაცია მიიღონ მედიაწიგნიერების გზითაც.

იხილეთ ვრცლად

გორის მუნიციპალიტეტმა, ევროპის საბჭოს მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო.

იხილეთ ვრცლად

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა ქალაქ ჩხოროწყუს ქუჩებში ინდივიდუალურად შეხვდა მოქალაქეებს და მათ საჭიროებებს გაეცნო. მოისმინა ასევე ადგილობრივების იდეები და მოსაზრებები.

იხილეთ ვრცლად

მარტვილის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება თემით ,,მსოფლიოს წარჩინებული ქალები“, რომელშიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი.

იხილეთ ვრცლად

SENAKI.GOV.GE

სენაკის მერიის მხარდაჭერით, 27 მარტს სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა გაიხსნა.

თეატრალურ ფესტივალში 13 სკოლის 200-მდე მოსწავლეა ჩართული.

იხილეთ ვრცლად

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი წელს, 3 თემში განხორციელდება.

იხილეთ ვრცლად

ბოლნისის მერიამ„ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა“ ჩაატარა.

იხილეთ ვრცლად

სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებსა და სერვისებზე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ოზურგეთში საინფორმაციო შეხვედრები ყველა სოფელში ეტაპობრივად ჩატარდება.

იხილეთ ვრცლად

ათეა გისურვებთ წარმატებას !